



**ევროკავშირი  
საქართველოსთვის**



**KfW**



**აჭარის წყლის  
ალიანსი**

## აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

**საინფორმაციო ბიულეტენი N32  
მარტი, 2023**

### დააჩქარე ცვლილება - წყლის საერთაშორისო დღის კამპანია

2023 წლის 22 მარტს წყლის საერთაშორისო დღე აღინიშნება. ამ დღის მიზანს წარმოადგენს ხაზი გაუსვას წყლის რესურსების მდგრადი განვითარების მნიშვნელობას, უსაფრთხო სასმელი წყლის საჭიროებას, წყლის ინფრასტრუქტურის შექმნას და გაეროს მდგრადი განვითარების მე-6 მიზნის მიღწევის აუცილებლობას.

წყლის რესურსებზე ხელმძღვანელობა, ბუნებრივი კატასტროფები და ნაწლავური დაავადებები, გაუმართავი წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის შედეგია. საყოველთაო სანიტარიულ და ჰიგიენურ პირობებზე, ასევე უსაფრთხო სასმელ წყალზე არათანაბარი წვდომა, აფერხებს პროგრესს და შეუძლებელს ხდის გაეროს მდგრადი განვითარების მე-6 მიზნის „სუფთა წყალი და სანიტარული პირობები“ მიღწევას 2030 წლისთვის.

უახლესი მონაცემებით, სახელმწიფოებმა საშუალოდ ოთხჯერ უფრო სწრაფად უნდა იმუშაონ მდგრადი განვითარების მე-6 მიზნის მისაღწევად, თუმცა ეს არ არის საკითხი, რომლის გადაწყვეტაც ერთ აქტორს, ან ჯგუფს შეუძლია. სწორედ ამიტომ, 2023 წელს წყლის საერთაშორისო დღის ფარგლებში, აქცენტი კეთდება თითოეული მოქალაქის აქტიურ ჩართულობაზე, თემით - „დააჩქარე ცვლილება“.

„განახორციელე ცვლილება, რომლის ნახვაც მსოფლიოში გსურს“ - ეს წლებანდელი კამპანიის დევიზია, რომლის შთაგონების წყაროც პატარა ჩიტის, კოლიბრის ისტორიაა.

იგავი, რომელიც პერუში წარმოიშვა, მოგვითხრობს კოლიბრზე, რომელიც სხვა დიდი ცხოველებისგან განსხვავებით, ტყეში გაჩენილ ხანძარს დამოუკიდებლად ებრძვის, სხვა ცხოველების დაცინვას კი დროის და ენერჯის ფუჭად ფლანგვის შესახებ უპასუხებს სიტყვებით - „მე ვაკეთებ იმას, რაც შემიძლია“.

კოლიბრის წვლილი თითქმის არაფერია ხანძრის ჩასაქრობად, მაგრამ ნაბიჯია ცვლილებისკენ, რომელიც გვახსენებს, საერთო მიზნების მისაღწევად საჭიროა ყველამ ვისწავლოთ წყლის რაციონალური გამოყენება და წყლის რესურსების დაცვა.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ფარგლებში, ცვლილებები, განვითარება და თითოეული აქტორის თანაბარი მონაწილეობა, პროგრამის არსია, სადაც ყველას შეუძლია თანაბარი მონაწილეობა მიიღოს ცვლილებების დაჩქარებაში, თანამედროვე კომუნალური ინფრასტრუქტურის შესაქმნელად.



### ინფორმაცია პროგრამის შესახებ

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით და ევროკავშირის მიერ.

პროგრამა მიზნად ისახავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას სს „აჭარის წყლის ალიანსი“ ახორციელებს. პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, ზოგადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. პროგრამა უზრუნველყოფს გარემოს დაცვას ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან არიდების გზით. ასევე, თავიდან იქნება არიდებული ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურება გაუნმენდავი ჩამდინარე წყლების ჩაშვებით.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.



**FICHTNER**



ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს „აჭარის წყლის ალიანსი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის შეხედულებებს.

კ. გამსახურდიას ქ. N1, ბათუმი, საქართველო  
+995 422 27 86 86  
info@awa.ge  
www.awa.ge



Funded by  
the European Union



KFW



აჭარის წყლის  
ალიანსი

## AJARA RURAL WATER AND WASTEWATER PROGRAMME

### NEWSLETTER N32

MARCH, 2023

### Accelerating Change - International Water Day Campaign

The International Water Day is celebrated on March 22, 2023. The objective of this day is to emphasize the importance of sustainable water resource management, the need for safe drinking water, significance of water infrastructure, and necessity to achieve the United Nations Sustainable Development Goal - SDG 6.

Natural disasters, famine, and enteric diseases are all exacerbated by insufficient access to water resources and faulty water infrastructure. Lack of access to universal sanitary and hygienic conditions, as well as safe drinking water, stymies progress and makes it impossible to meet the SDG 6 "clean water and sanitation" by 2030.

According to the most recent data, governments must work four times faster on average to achieve Sustainable Development Goal 6, but this is not a situation that can be solved by a single actor or group.

That is why, within the framework of the International Water Day in 2023, the focus is on the active involvement of each citizen, with the theme - "Accelerating change".

Make the change you want to see in the world, is the motto of this year's campaign, which is inspired by the hummingbird story.

The fable, which originated in Peru, tells the story of a hummingbird who, unlike other big animals, fights a forest fire on its own. The respond to other animals' mockery is - "I am doing what I can."

A hummingbird drop is almost nothing to put out a fire, but it is a step toward change, reminding us that we are working towards a common goal through unity, rational water use, and water resource protection.

In the framework of the Ajara Rural Water Supply and Wastewater Program, change, development and participation are the core of the program inviting everybody to participate in the accelerated change process.



#### GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

"Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is co-financed by the German Federal Republic Government through the KfW Development Bank and by the European Union.

The Programme aims to create modern standard water supply and wastewater treatment systems in all municipalities of Ajara.

"Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is being implemented by the JSC "Ajara Water Alliance".

The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.

The content of the Programme "Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.



FICHTNER



This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.

1, K. Gamsakhurdia str., Batumi, Georgia  
+995 422 27 86 86  
info@awa.ge  
www.awa.ge